გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . | 10 — | 6 . . | 6 — |
| 11 . . | 9 50 | 5 . . | 5 50 |
| 10 . . | 8 75 | 4 . . | 4 75 |
| 9 . . | 8 — | 3 . . | 3 50 |
| 8 . . | 7 25 | 2 . . | 2 75 |
| 7 . . | 6 50 | 1 . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ზებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ხიდდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი

სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1887 წელიწადი


**გაზეთი „ივერია“ პირველის ივნისიდამ წლის დამლევამდე ღირს 6 მ. 50 კ.**

ტფილისი, 12 ივნისი

გუშინ, ესე იგი, 11 ივნისს, ტფილისის სასამართლო პალატაში გაირჩა ერთი იშვიათი და დიდად საყურადღებო საქმე. აი რა საქმეა.

თ. დიმიტრის სულხანის ძის ჭავჭავაძის გარდაცვალების შემდეგ აღმოჩნდა ანდერძი, მისგან დატოვებული. ამ ანდერძისაგან სჩანს, რომ გარდაცვალებულს სხვა ქონების გარდა დარჩენია კიდევ ოცდაოთხი ათასის თუმნის სახელმწიფო სარგებლიანი ბილეთები აღმოსავლეთის სესხისა და ამოდენა ფულის ბილეთები სულ მიბარებული ჰქონია სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილებაში შესანახავად. კანონით მემკვიდრენი გარდაცვალებულისა არიან ძმა მისი გენერალ-მაიორი თ. ივანე ჭავჭავაძე და არა სრულ-წლოვანი ძმისწული მისი თ. სულხან გიორგის ძე ჭავჭავაძე.

ხსენებულ ორმოც ათას თუმნის თაობაზედ გარდაცვალებულს შემდეგი განკარგულება მოუხდენია თავის ანდერძში. ეს ორმოცი ათასი თუმანი უნდა სამუდამოდ დარჩეს ხელ-უხლებელ თავნად სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილებაში და მინამ ძმა გარდაცვალებულისა თ. ივანე ჭავჭავაძე ცოცხალი იქმნება, თ. ივანეს უნდა ეძლიოს სარგებელი ოცი ათასის თუმნისა იმ პირობით, რომ ეს სარგებელი როგორც ჰსურს, ისე მოიხმაროს, მხოლოდ ძმისწულის თ. სულხან ჭავჭავაძის აღზრდისა და სწავლა-განათლებისათვის-კი უნდა იმოდენა უწილადოს, რამოდენაც საჭირო იქნება სრულის სწავლა-განათლების მიღებისათვის რომელსამე სპეციალურს სასწავლებელში ან უნივერსიტეტში. მეორე ოცი-ათას თუმნისაგან სარგებელი-კი უნდა გადადებულ იქმნას ყრმათა სწავლა-განათლებისათვის დაბალ თუ მაღალ სპეციალურს სასწავლებელში.

ანდერძი რუსულად არის დაწერილი და სწორედ ამ ადგილას, სადაც ამ მეორე ოცი-ათას თუმანზეა სიტყვა ჩამოგდებული, ხერხიანად ვერ არის გამოთქმული აზრი და სურვილი მეანდერძისა, თუმცა იგი აზრი და სურვილი ადვილად გამოსარკვევია ანდერძის სხვა მუხლების შემწეობითა. მაგალითებრ, სადაც ანდერძი ამბობს, რომ ოცი-ათასის თუმნის სარგებელი ყრმათა სწავლა-განათლებისათვის უნდა იყოს გადადებულიო, იქვე, თუმცა წერტილის შემდეგ-კი, ზედ მიყოლებით სწერია: „ტფილისის გუბერნიის თ. ჭავჭავაძეების შვილები განსაკუთრებითაო“. რადგანაც ამ ორ წინადადებათა შორის შესასვენი ნიშნები წესიერად და აზრის თანხმად არ არის და რადგანაც სიტყვა «შვილები» მეორე წინადადებაში პირველის წინადადების შესაფერად არ არის დაბრუნებული რუსულ გრამატიკისამებრ, ამიტომაც ზოგიერთნი ჰხედვენ, რომ მაგ ფულის სარგებელი უნდა გადადებულ იქმნას საყოველთაოდ ყველა ყრმათათვის და არა მარტო ჭავჭავაძიანთ შვილთათვისაო. ამას ჩვენ ასე დაწვრილებით ვიხსენიებთ აქ, იმიტომ-რომ ასრეთს ახსნას ანდერძის სიტყვებისას დიდი მნიშვნელობა ეძლევა, როცა თვით ანდერძის საქმის მსვლელობაზედ მოგვიხდება ლაპარაკი. ამას სავსებისათვის ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ანდერძში სწერია: ნახევარ შემოსავლიდამ უნდა გაიზარდოს ერთი მღვდლის-შვილი სემინარიაში და ორი ყმაწვილი იმ გლეხებისა, რომელნიც ყმად ეკუთვნოდნენ გარდაცვალებულის მამასა.

ეს განკარგულებანი მოანდერძისა, ასე თუ ისე საგულის-ხმიეროა, დადგენილია მარტო იმ დროებისათვის, ვიდრე თ. ივანე ჭავჭავაძე ცოცხალი იქმნება. ხოლო მის შემდეგ, ცხადად და გარკვევით გამოთქმულია, რომ მთელი ორმოცი ათასი თუმანი საუკუნოდ ხელ-უხლებელ თავნად უნდა დაიდვას სახელმწიფო ბანკში და მარტო მისი სარგებელი ეძლიოს ჭავჭავაძიანთ შვილების აღზრდისა და სწავლა-განათლებისათვის.

ეს ანდერძი წესისამებრ წარდგენილ იქმნა ტფილისის ოლქის სასამართლოს წინაშე დასამტკიცებლად. ერთმა კანონით მემკვიდრემ თ. სულხან ჭავჭავაძემ არ იცნა ანდერძი კანონიერად შედგენილი და ითხოვა, თვისთა წარმომადგენელთა პირით, გაუქმება ანდერძისა. ოლქის სასამართლომ გამოძიება მოახდინა, საქმის გარჩევის შემდეგ დაადგინა განაჩენი და არ იცნა ანდერძი დამტკიცების ღირსად. ამ სახით გაუქმდა ანდერძი ოლქის სასამართლოსაგან. მინამ ეს განაჩენი ძალაში შევიდოდა, მეორემ კანონით მემკვიდრემ თ. ივანე ჭავჭავაძემ, რომელსაც ანდერძის უარ-ყოფაში არავითარი მონაწილეობა არ მიუღია, ითავა მორიგება ჭავჭავაძიანთი და თ. სულხან ჭავჭავაძისა. ჭავჭავაძიანთ იმის შიშით, რომ ანდერძი სრულად არ გაუქმდეს და ხელ-ცარიელნი არ დარჩნენ, მორიგებაზედ უარი არა სთქვეს და თ. ივანე ჭავჭავაძის უანგარო და პატიოსან თაოსნობით მორიგების წერილიც შესდგა.

ამ მორიგების წერილით, ათი ათასი თუმანი უნდა მიეღო საკუთრებად თ. სულხან ჭავჭავაძესა და დანარჩენის ოც-და-ათი ათას თუმნის თაობაზედ ასე უნდა მოქცეულიყვნენ: ეს ოც-და-ათი ათასი თუმანი უნდა დარჩენილიყო ხელ-უხლებელ თავნად და მინამ თ. ივანე ჭავჭავაძე ცოცხალია, ელო მხოლოდ სარგებელი ოცი ათასის თუმნის და დანარჩენის ათი ათასის თუმნის სარგებელი-კი მოხმარებულიყო ჭავჭავაძიანთ ყმაწვილების აღზრდისა და სწავლა-განათლებისათვის. ხოლო თ. ივანე ჭავჭავაძის შემდეგ მთელის ოც-და-ათი ათასის თუმნის სარგებელი უნდა მიქცეულიყო ჭავჭავაძიანთ შვილების აღზრდისა და სწავლა-განათლებისათვის იმ პირობით-კი, რომ ვიდრე ცოცხალი იქმნება მეუღლე თ. ივანე ჭავჭავაძისა, მისთვის ეძლიათ წელიწადში ხუთასი თუმანი საცხოვრებლად.

ამ სახით უდავიდარაბოდ, ხან გაუგრძელებლად ჭავჭავაძიანთ მორიგებისვე უმალ ეძლევოდათ შვილების აღსაზრდელად ათი ათასის თუმნის სარგებელი და თ. ივანეს შემდეგ ოცი-ათასის თუმნისა, ხუთი სარგებელი რომ ვიანგარიშოთ, და თ. ივანეს მეუღლის შემდეგ— მთელის ოც-და-ათი ათასის თუმნისა.

ხოლო იმისათვის, რომ ამოდენა ფულის სარგებელი მართლა იმ საკეთილო საქმეს მოხმარდეს, რისათვისაც ასე ჰცდილობდა თ. ივანე ჭავჭავაძე და სათავდებო რამ იყოს, რომ ეს ფული საშვილიშვილოდ ხელ-უხლებლად დარჩეს, თ. ივანე ჭავჭავაძემ ჭავჭავაძიანთ სხვათა შორის ის პირობა დაადებინა, რომ ჭავჭავაძიანთ გვარისაგან თითო სახლში უფროსი კაცი შეიყაროს, საზოგადო კრება მოახდინონ, წესდება დაიწეროს, ეს წესდება მთავრობის მიერ დამტკიცებულ იქმნას და ამ დამტკიცებულ წესდებისამებრ განეგებოდეს ეს კეთილი საქმე, რომელსაც იგი ეხლა სწირავს ათი ათას თუმანს და მისსა და მის მეუღლის შემდეგ მთელს ოც-და-ათი ათას თუმანსა. გარდა ამისა ჭავჭავაძიანთ შვილების აღზრდის მორიგებაში ის პირობაც იყო დადებული, რომ ერთის მღვდლის-შვილის მაგიერ სემინარიაში იზრდებოდეს ორი და ორის გლეხთა შვილის მაგიერ— სამი.

რაკი ეს მორიგება მოხდა, ჭავჭავაძიანთ, რომელთაც ანდერძის საქმის გარჩევის დროს არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ ოლქის სასამართლოში, საჭიროდ აღარ დაინახეს საჩივარი რამ შეეტანათ ოლქის სასამართლოს განაჩენზედ, რომელმაც ანდერძი გააუქმა. არც საჭირო იყო, იმიტომ-რომ მორიგება სხვის შემოურევნელად ჭავჭავაძიანთ შვილების აღზრდის საქმეს სრულად და მთლად განსაკუთრებით თვითვე ჭავჭავაძიანთ სრულს განკარგულებაში სტოვებდა, ბევრს სხვა-და-სხვა გვარს დამოკიდებულებას, რომელსაც ანდერძი ვალად სდებდა და რომელსაც შეეძლო აეჭიჭუნა და აეწეწნა საქმე შემდეგში, თავიდამ აცლიდა. უმთავრესი სიკეთე მორიგებისა ის იყო ჭავჭავაძიანთათვის, რომ მორიგე-

# ფელეტონი

## რა დროს და საიდგან შემოიღეს ქართული ანბანი

(ილია ოქრომჭედლიშვილის წერილის გამო „ვინ მოიგონა ქართული ანბანი“.)

(შემდეგი*)

ქართველებს, საზოგადოდ რომ ვსთქვათ, აქვთ ოთხი ანბანი: **ხუცური**: ასო-მთავრული და ჩვეულებრივი, **მხედრული**: ჩვეულებრივი და ნუსხური, ანუ გაკრული ხელი. სამწუხაროდ დღემდე ჩვენ არა გვაქს ქართული პალეოგრაფია (ასოთ-შესწავლა), რომლიდამაც შევიტყობდით სიძველეს ამა თუ იმ ქართულ ანბანისას, მათს მონათესაობას და განსხვავებას. ხოლო ბეჯითი დაკვირვება და გამოკვლევა ამ ანბანებისა გვიჩვენებს, რომ ერთი მათგანი ყოფილა დედანი და სხვა სამი ანბანი-კი მისგან წარმომდგარა და წარმოშობილა სწორედ ისე, როგორადაც ერთის ქართლოსისაგან მრავალ საუკუნეთა განმავლობაში წარმოსდგნენ საკუთრად ქართველნი, სვანნი და ლაზნი, და როგორადაც ყველა ამ ერთის ერის შტოებს ჰქვიანთ ქართველნი, ისე ყველა ოთხსავე ანბანს—„ქართული ანბანი“.

აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ორი პირველი ასონი ერთმანერთს ჰგვანან გარეგნულად და მეორენიც ერთმანერთს. პირველ ორ ანბანში საერთოა 21 ასო: [illegible]; მზგავსნი არიან შვიდნი: [illegible]. სულ 28 ასოა საერთო და მზგავსი; სხვა-და-სხვა ნაირი-კი ათია: [illegible].

მხედრულს ჩვეულებრივსა და ნუსხურში საერთოა 31 ასო და განსხვავებული შვიდი: ღ, ლ, რ, ქ, ჭ, ჯ, ო. ამას გარდა ნუსხური გადაბმული წერა იმდენად ჰშორდება ჩვეულებრივს მხედრულს, რომ კაცს, თუ შეჩვეული არ არის, წაკითხვა უძნელდება.

ხუცურებსა და ორთავე მხედრულებში საერთონი ანუ საკმაოდ მზგავსნი არიან: Ⴋ‿მ, Ⴇⴇ‿თ, Ⴘⴘ‿შ, Ⴌ‿ნ, Ⴙⴙ‿ჩ, Ⴑ‿ს, Ⴔⴔ‿ფ, Ⴗⴗ‿ყ, Ⴛⴛ‿ძ; ხუცურ ჩვეულებრივსა და მხედრულ ჩვეულებრივში ამ გვარივე ასონი: ⴜ‿წ, ⴓ‿უ [21]).

აქ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველა ჩვენ ანბანებში უფრო მომეტებულად დაკუთხიანებულია ხუცური ჩვეულებრივი, ასე რომ ამ ანბანს შეიძლება ვუწოდოთ კუთხიანი ანბანი. სხვებში-კი ესრეთი კუთხიანობა არა სჩანს და იგინი უფრო მრგვალნი არიან, ვიდრე კუთხიანნი.

რაც კი აქამომდე აღმოჩენილი წერილობითი ძეგლები და ნაშთებია, იმათში უწინარესი და უძველესი ეკუთვნის მე-V საუკ. ქრ. შემდეგ და იგი დაწერილია ასო-მთავრულებით; შემდეგ დროებაში ჩნდება ნაწერი ხუცურის ჩვეულებრივით და მერმე მხედრულის ჩვეულებრივითა და ნუსხურით.

ხელ-ნაწერის ნაშთი თუ უწინარეს მე V-საუკ. სხვა არ მოიპოვება, ეს იმას არ ამტკიცებს, რომ ამ დრომდე ქართველებს წერა არა სცოდნიათ და არც სხვა რამ წერილობითი ნაშთი მოეპოვებათ. ამ გვარი ნაშთნი, შესაძლებელია, იყვნენ სადმე, ხოლო არა სჩანან და ეს გასაკვირველი არ არის.

შარშანდლამდე მეცნიერნი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ქართველებს მე-XVII საუკუნემდე მატიანე არა ჰქონდათო და მხოლოდ ამ საუკუნეში მეფე ვახტანგმა შეადგინა-შესთხზა „ქართლის ცხოვრებაო“. ხოლო შარშან პატივცემულმა დ. ზ. ბაქრაძემ შემთხვევით აღმოაჩინა ერთი ძველი, ვახტანგის უწინარეს დროის, ქართლის ცხოვრება[22]) და მით გააქარწყლა ხსენებული აზრი მეცნიერთა შესახებ ქართველთ მატიანისა. ეჭვი არ არის,—საქართველო რომ საფუძვლიანად შეისწავლება ისტორიულისა, არქეოლოგიურისა, ლინგვისტიურისა და სხვა მხრივ, აღმოჩნდება კიდევ ბევრი სხვა ნაშთიც, რომელიც რამდენადმე ფარდას აჰხდის ძველის დროების სიბნელეს და ნათელის სხივით გაანათლებს იმ დროის კუკუმეთს. ამ გვარი ნაშთები ეხლაც ბევრი ჩნდება.

მაგალითად, 1867 წ., მცხეთის გზის გაყვანის დროს, იპოვნეს ერთი ქვა ბერძნულის ზედ-წარწერით. ქვა ეკუთვნის 75 წ. ქრისტეს შემდეგ. აი წარწერის შინაარსი: „იმპერატორი, კესაროსი ვესპასიანე, აგვისტო, დიდი მღვდელ-მთავარი, მეშვიდეჯერ შემოსილი ტრიბუნის ღირსებით, მეთოთხმეტეჯერ ტრიუმფატორი, კონსუ-

*) იხ. „ივერია“ № 117.

21) ნიმუშები ასო-მთავრულებისა ამ შედარებაში მოვიყვანეთ ერთის ძველის დედანიდამ, მგონი, იგი დ. ფურცელაძის გამოცემულია. ნიმუშები სხვა ანბანებისა მოვიყვანეთ ზოგი ი. გოგებაშვილის დედანიდამ, ზოგი-კი დედა-ენიდამ.

22) Статьи по истор. и древ. Грузіи, დ. ბაქრაძისა, წერილი „Вновь найден. варіантъ древ. груз. хроники или картлисъ-цховреба“.

ბის ძალით ანდერძის გაუქმება არამც თუ ხელ-ცარიელად აგდებდა მთელს გვარეულობას, არამედ ოც-და-ათი ათას თუმანს ყოველს შემთხვევაში აძლევდა. ეგ ხელ-ცარიელად დარჩენის შიში უმიზეზო არ უნდა ყოფილიყო ჭავჭავაძიანთათვის, იმიტომ-რომ ოლქის სასამართლომ რომ გააუქმა ანდერძი, ხომ საბუთი რამ ექმნებოდა და ვინ და რა იყო თავდები, რომ პალატაც პატივს არ დასდებდა ამ საბუთს და განაჩენს ოლქის სასამართლოსას არ დაამტკიცებდა.

ამ სახით განაჩენი ოლქის სასამართლოსი, ჭავჭავაძიანთ მიერ არ ნაჩივლი, კანონიერს ძალაში უნდა შესულიყო, მაგრამ აქ სხვა გარემოება გამოტყვრა და ამ გარემოების წყალობით ანდერძის საქმე გადავიდა პალატაში ხელ-ახლად გარჩევისათვის. ამაზედ მერე ვიტყვით.

## ახალი ამბავი

*** წელს სულ სამს ქართველს ყმაწვილ-კაცს გაუთავებია კურსი ტფილისის კლასიკურს გიმნაზიებში. პირველ გიმნაზიაში გაუთავებია ორს და მეორეში—ერთს. ატესტატები უმაღლეს სასწავლებელში წასასვლელად პირველს გიმნაზიაში კურს გათავებულებს ჯერ არ მიუღიათ, რადგან ეგზამენები არ გათავებულა.

*** სასიამოვნო ამბავი გვესმის იმერეთიდამ. იმერეთ-სამეგრელო-გურიის სამღვდელოების გადაწყვეტილებით მინდობილი საქმე ქართულის საეკკლესიო გალობის გადაღება ნოტებზე (იმერულ-გურულის კილოთი) ბატონ ქორიძეს გაუთავებია ქუთაისში. მას დაუწერია ოთხასი ნომერი საგალობელთა. ეს გადაღებული ნოტები ამ ჟამად ჩაჰბარებია მამა ღამბაშიძეს, გაზეთ „მწყემსის" რედაქტორს. ჩვენ არ ვიცით, რა მსვლელობა უნდა მიეცეს შემდეგში: კიდევ რამე განხილვა მოელის ამ ნოტებსა, თუ დაბეჭდვას შეუდგებიან? ეს საქმე ისეთის დიდის მნიშვნელობისაა არამც თუ საეკკლესიო გალობის ისტორიაში, არამედ საზოგადოდ ჩვენს ცხოვრებაში, რომ მისი ყოველივე მსვლელობა საზოგადოებისათვის საინტერესოა. ამისათვის ვისაც მინდობილი აქვს ამ საქმის თაოსნობა, იმედი უნდა გვქონდეს, უპასუხოდ არ დასტოვებს საზოგადოებას და აუხსნის, რას უზმენ დაწერილ ნოტებს და იმას ხომ არ ფიქრობენ, რომ ხელ-ნაწერად გაავრცელონ, რაიცა შეცდომა იქნება. ამიტომ საკითხველია, ნოტები დაიბეჭდება, თუ არა? იმიერ-საქართველოს სამღვდელოებამ ისეთი სასიქადულო საქმე მოიქმედა, რომ მისი დაწყებულ ღვაწლის დაუგვირგვინებლად დარჩენა გაუქმებას ევვანება.

*** როგორც ვიცით, ტფილისის სამუსიკო სკოლის დირექტორი იპოლიტოვ-ივანოვი ამ უკანასკნელს წლეებში ნოტებზედა სწერს ქართულ-ძველებურ საეკკლესიო საგალობლებსა (ქართლ-კახეთის კილოთი). თუმცა საკმაოდ ბევრი დაუწერია, სამწუხაროდ, ჯერ გათავებული არა აქვსო; მაინც და მაინც ორასზე მეტი ნომერი ექნება დაწერილიო. ამ მცოდნე კაცმა ეს შრომა მიიღო პატივცემულის ყოვლად სამღვდელო ალექსანდრეს შეკვეთით. წერის დროს ეხმარებოდნენ ძმანი კარბელაშვილები, მღვდელი ა. მოლოდინოვი და აწ განსვენებული მღვდელი გრ. მღებრიშვილი, როგორც მცოდნენი ქართულის გალობისა (ქართლ-კახეთის კილოთი). მას შემდეგ, რაც კარბელაშვილები მღვდლებად ეკურთხნენ და ტფილისიდამ თვის მინდობილს სამრევლოში გადავიდნენ და გარდაიცვალა გრ. მღებრიშვილი, იპოლიტოვ-ივანოვს ღონისძიება მოაკლდა დაწყებულის საქმის დასრულებისათვის. რაღა თქმა უნდა, რომ სასურველია ამ საქმეს ჯეროვანი დახმარება და ღონისძიება აღმოუჩნდეს.

საეკკლესიო გალობის გარდა იპოლიტოვ-ივანოვს ყურადღება მიუქცევია ქართულ საერო სოფლურ სიმღერებისათვისაც. ნოტებზე დაუწერია ზოგი ტფილისში, ზოგი სოფლებში ყოფნის დროს ჩვენებური სიმღერები და ახლა განზრახვა აქვს ნოტები პეტერბურგში დაბეჭდვინოს თავის იქ ყოფნის დროსა. პატივცემული მუსიკის მოღვაწე ამ ჟამად უკვე პეტერბურგში იმყოფება.

*** ტფილისში ხმა გავრცელდა, რომ გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე" ამას იქით სხვის ხელში გადადისო. ა. ვ. სტეფანოვის მაგიერ ახლა რედაქტორობა ბ-ნ კუზმინს უკისრნია, ბაქოს გაზეთ „კასპის" რედაქტორს. ჯერ ეს საქმე ნამდვილად გადაწყვეტილი არ არის, მაგრამ, როგორც ამბობენ, ამ მოკლე ხანში დაბოლოვდებაო.

*** ქართული თეატრი ახლა თითქმის სულ დაქცეულია: უკანა კედელი აუღიათ, ჭერი აუხდიათ, ლოჟებისა და გარეშემო კედლების დაქცევასაც ათავებენ. ბაღში ახალს საძირკველსა სთხრიან. იმედი აქვთ, რომ 15 ოქტომბრამდე გაათავებენ მუშაობას და თეატრი მზად იქნებაო.

*** ოთხშაბათს, 10 ივნისს, მუშტაიდში შემდეგი ამბავი მომხდარა: საღამოზედ ლორთქიფანიძის „ტრამვაი"-ში დასეირნობდა ერთი ახალგაზდა ქალი, რომელსაც თვალ-ყურს ადევნებდნენ ვიღაც კაცები, უფრო აქაურებიო. პატარა ხანს უკან ქალი მივიდა კავალერთან და ორნივე ჩასხდნენ ფაეტონში და წავიდნენ მუშტაიდის ბაღისაკენ. ამ ამბის შემდეგ, არ გაუვლია სულ რამდენსამე წუთს, რომ გაფითრებული კავალერი მოვარდა ღრიალით ისევ „ტრამვაი"-ში და დაიწყო ჩივილი, რომ ვიღაც ხალხი გამოვარდა ბუჩქებიდამ ბაღში და მოიტაცეს ქალიო. პოლიცია დაედევნა თურმე ავაზაკებს, მაგრამ ველარავინ იპოვა ბაღშიო.

*** გუშინ საღამოს $4^1/_2$ საათზედ ცეცხლი გაუჩნდა ზუბალოვისეულს მამულს, რომელიც ამას წინად ბაქოს მცხოვრებელმა ლალაევმა შეისყიდა ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისაგან. ცეცხლი გაჩნდა სამზარეულოს თავზედ, სახლის სახურავ ქვეშ. ამბობდნენ, ცეცხლი სამზარეულოს ბუხრიდგან არის გაჩენილიო, მაგრამ ტყუილი გამოდგა: ბუხარს არა დაშავებია-რა. ცეცხლი გაუფრთხილებლობით გაჩენილა. ცეცხლის მქრობელმა რაზმა ცეცხლი ჩქარა ჩააქრო ასე, რომ დიდი ზარალი არა მოსვლია-რა სახლის პატრონს.

*** ამ მაისის დამდეგს სახელმწიფო კანონებისა და ეკონომიის დეპარტამენტებისა და სახელმწიფო საბჭოს საერთო კრებაზე განუხილავთ შინაგან საქმეთა მინისტრის მოხსენება იმ საგანზე, თუ რა უფლებანი უნდა ჰქონდეს მინიჭებული კავკასიის მთავარ-მმართებელს. მთავარ-მმართებელს ამას იქით უფრო მეტი უფლება მიენიჭება და ბევრს საქმეებს, რომელიც აქამომდე სამინისტროებს ეგზავნებოდა გადასაწყვეტად, ახლა მარტო თითონ მთავარ-მმართებელი გადასწყვეტავს. სხვათა შორის მთავარ-მმართებელს შეუძლიან უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომნი, რომელთაც რაიმე ღალატი ანუ სახელმწიფოსათვის მავნებელი საქციელი შეემჩნევათ, განდევნოს; შეუძლიან ნება მისცეს მკვიდრთ სახელმწიფოს ტყეები მოიხმარონ, აუკრძალოს სოფლის საზოგადოებას მამასახლისისა და სხვა სოფლის მოხელეთა არჩევა, დანიშნოს სხვა-და-სხვა ქალაქებში საჭიროების დაგვარად ცენზორი და აგრეთვე დაუნიშნოს სასჯელი სომხურ, ქართულ და თათრულ ჟურნალ-გაზეთებს, უკეთუ დააშავეს რამე; ნება მისცეს რჯულის გამოცვლისა, დაამტკიცოს ახალის ქალაქების პლანები, გადასწყვიტოს ახალის იარმუკების დაარსება და სხვა-და-სხვა. ამას გარდა გუბერნატორებსაც ამას იქით მეტი უფლება მიეცემათ და სხვათა შორის, ნება ექნებათ მიწა მისცენ იმ სოფლის საზოგადოებათა, რომელნიც უმიწობის გამო შევიწროებულნი არიან, მხოლოდ წინაპირველად გლეხების თხოვნა ამ საგანზე სახელმწიფო ქონებათა გამგეობამ უნდა განიხილოს.

*** სოლოლაკის კამარა-შეკრულს არხს ეტყობა კარგი გაკეთება უნდა და არა აქა-იქ ხელ-და-ხელ შეკეთება. სოლოლაკის ქუჩაზე მთელი ნახევარი კედელი არხისა დააქციეს და რომ მეორე კედელიც არ ჩამოიქცეს, ჯინჯიბახები შეუყენეს. მართალია, კარგა ხანია რაც ამ არხს აკეთებენ, ბევრი მუშებიც ახვევია ზედ, მაგრამ მაინც აქამომდე ჯერ ბევრი არა არის-რა გაკეთებული.

*** „С.-Петербургскія Вѣдомости" გვაუწყებს, რომ ამ ზაფხულს კავკასიაში მოვა საგეოლოგიო გამოკვლევათათვის საფრანგეთის ბუნების-მეტყველი ლუი ბოდენიო.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ევროპაში მშვიდობიანობის სიომ დაჰბერა. ასე გვარწმუნებენ გერმანიის გაზეთები, რომელნიც ქვეყანას აუწყებენ, რომ მშვიდობიანობა დღეს მტკიცე საძირკველზე დამყარდა, ომის შიში აღარ არის, საფრანგეთისა და გერმანიის შორის კარგი განწყობილება ჩამოვარდაო და ეს სულ იმის წყალობით, რომ ბულანჟე სცენიდგან გადმობძანდაო. მეტადრე ბისმარკს უხარიან თურმე და გულ-არხეინად არის ეხლა, თორემ ბულანჟე ლოდივით აწვა გულზე და არც დღე, არც ღამე მოსვენებას არ აძლევდა. მაგრამ, ვგონებთ, ეს სიხარული ცოტა ადრეულა გამომდგარა. თუ ბულანჟე გავიდა, ამის ადგილას ფერრონი ჩადგა, და თუ რა ხილია ეს ფერონი, ამის შესახებ აი გაზეთ „Новости"-ს რა ამბები შეუტყვია:

> ბულანჟეს მემკვიდრე გენერალი ფერრონი იმავე გზას ადგა, რასაც ბულანჟე, ასე რომ თუ ერთის მინისტრის მაგიერ მეორე ჩადგა, ამით თვით საქმეს არა დააკლდა-რა, პოლიტიკაში არაფერი ცვლილება არ მოხდა. ფერრონის სიტყვამ, რომელიც მან წარმოსთქვა პარლამენტში, დიდი ყურადღება მიიქცია. ფერრონმა სთქვა: ყოველი ღონის-ძიება უნდა ვიხმაროთ, ძლიერი ჯარი ვიყოლიოთ, რომ ყოველს მტერს ხმა გავცეთო.

თვით გერმანიის გაზეთების პარიჟელი კორრესპონდენტები ერთხმად აღიარებენ, რომ ახალი სამხედრო მინისტრი უფრო საშიშარია გერმანიისათვის, ვიდრე ბულანჟე იყოვო.

> ფერრონი საქმის კაცია და არა მარტო მყვირალაო,—ამბობენ კორრესპონდენტები. ფერრონი საქმეს აკეთებს; ამის ხელში საფრანგეთის ჯარი მართლა რომ გაძლიერდება. გარდა ამისა, ახალს მინისტრს პირადი თავ-მოყვარეობა არ ამოქმედებს, ასე რომ საფრანგეთში იმის შიშიც აღარა აქვთ, ვაი თუ არეულობა მოახდინოს და მთავრობა სრულიად ხელთ იგდოს, როგორც ბულანჟესი ეფიქრებოდათ. ბონაპარტიელნი და ორლეანელები ამიტომაც ასე მკაცრად მოეკიდნენ ახალს მინისტრსა, მაგრამ ვერა ავნეს-რა, ფერრონი გამარჯვებული დარჩა.

მაშ რიღას სიხარული აქვთ გერმანიელებსა და განსაკუთრებით

---

ლი მეექვსეჯერ, მამა მამულისა, ცენსორი და იმპერატორი ტიტე ცეზარი, ძე აგვისტოსი და სხ. და სხ., და დომიციანე ცეზარი და სხ. და სხ., იბერთა მეფეს მიტრიდატს, ძესა ფარასმანისა და იამაზდისა, მეგობარსა კეისრისასა და მეგობარსა რომის ერისასა, აუგეთ ციხე" [23]).

1872 წ. აგრეთვე გზის გათხრის დროს აღმოჩნდა მრავალი აკლდამა მცხეთის ახლოს. ერთს აკლდამაში ბაიერნმა ჰპოვა ქვა ურიულის ზედ-წარწერით. ეს წარწერა ასრე იკითხება [24]): „ესე არს საფლავი ძეირფასის მამის იეგუდისა, რომელსაც ეწოდებოდა გურგ. მისი განსასვენებელი და იყოს წმიდათა თანა, მისი აღდგომა მართალთა თანა". ეს ქვა, ხვოლსონის აზრით, უნდა ეკუთნოდეს მე-IV—V ს.

დიდი ხანი არ არის მას აქედ, რაც ბაიაზეთის მიდამოში აღმოაჩინეს კიდევ ერთი ქვა ლურსმურის წარწერით. ეს წარწერა ჯერ ვერავის ვერ აღმოუკითხნია [25]).

იმავე მცხეთის აკლდამებში იპოვნეს მრავალი შესანიშნავი ნივთები, რომელნიც ნათელს ჰფენენ უძველეს დროებს საქართველოს ისტორიისას. რატომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ კიდევ სხვაგან სადმე აღმოჩნდება ბევრი სხვა ნაშთებიცა ქართულის ზედ-წარწერით, ან ისეთნი, რომელნიც ადვილად აღგვიხსნიან ქართულის ანბანის მოგონების დროსაც და ქართველთ ყოფა-ცხოვრებასა, კულტურულს ზრდასა და დამოკიდებულებასა სხვა ერებთან. აქ გამოგვადგება ის საბუთიც, რომ ამ ბოლოს დროს ჰპოულობენ გაქვავებულ წიგნებსა. მაგალითად, ამ რამდენისამე წლის-წინად ბ-ნ ერიცოვმა საქართველოს სომხეთში იპოვა ორიოდე გაქვავებული წიგნი [26]). რომ შეიძლებოდეს მათი წაკითხვა, ვინ იცის, აღმოჩენილიყო, რომ იგინი ეკუთვნიან იმ ბნელ დროებას, ფარნაოზისა ან იმის უწინარეს საუკუნოებსა. და ან ვინ იცის, რა სწერია იმ ლურსმურ ძეგლზედ.

ერთის სიტყვით, ამ საბუთების მიხედვით, ჩვენ არ შეგვიძლიან გადაჭრილად ვსთქვათ, რომ მე-V ს. უწინარეს დროის წერილობითი ნაშთი არა გვაქვსო და, მაშასადამე, ქართველთ ამ დროებში მოუგონიათ ანბანიო. სხვა რომ არა იყოს-რა, თვით ქართლის ცხოვრებაშიაც სჩანს, რომ მე-V ს. უწინარესაც სცოდნიათ წერა. მაგალითებრ, ნინოს ცხოვრება აღუწერიათ, მირიან მეფეს წიგნები უკითხნია და წერილები მიუწერია რომის პატრიარქისათვის და ბოლოს ფარნაოზსაც მწიგნობრობა შეუქმნია.

თუმცა სხვა ნივთიერი ნაშთი ჯერ ხანობით არა გვაქვს ქართლის ცხოვრების სიტყვების შესამოწმებლად, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ რამე საფუძველზე იქნებოდა დამყარებული ზემორე მოყვანილი თქმულებანი მატიანისა. და რა იქნებოდა იგეთი საფუძველი, თუ არა ნამდვილად ისა, რომ მართლა ქართველთ მესამე საუკუნის უწინარესაც იცოდნენ წერა-კითხვა და, მაშასადამე, ჰქონდათ თვისი ანბანიცა.

საკუთრად ჩვენ ვადგევართ იმ აზრსა, რომ ქართველთ ანბანი ჰქონდათ შემოღებული არა თუ მესროფის ზღაპრულ მოგზაურობის დროს საქართველო-ალბანიაში და არა თუ ფარნაოზის მეფობის ჟამს (მე-III ს. დასაწყისს, ქრისტეს წინად), როგორც ამას ამტკიცებს ი. ოქრომჭედლიშვილი და სხვანიცა, არამედ ფარნაოზის მეფობის რამდენისამე საუკუნის უწინარეს. აი საფუძველი ჩვენის მსჯელობისა.

მეცნიერებაში მიღებულია აზრი, რომ ანბანი მაშინ შემოიღეს, როდესაც რომელიმე ერი გამრავლდა, გარეულ მდგომარეობიდამ გამოვიდა, განვითარდა კულტურულად და წარმატების გზას დაადგა [27]). მართლაც და როდესაც კაცის ცხოვრება იმდენად მარტივია, განუვითარებელი, რომ იგი არაფრით ერჩევა ნადირებისა და ზოგიერთ ფრიად გონიერ ცხოველების ცხოვრებას, მაშინ რა საჭიროა მისთვის ხმის აღმნიშვნელი ნიშნები. პირ-იქით, როდესაც კაცი გარეულ მდგომარეობიდამ გამოდის, იწყებს გონიერ ცხოვრებას, მუშაკობას ხელს ჰკიდებს, იწყობს გაჭრობას, აღებ-მიცემას, ხიცვისა და მტრისაგან უზრუნველ-ჰყოფს თავის თავს შენობისა და ციხეების აგებით, მაჯნების გამაგრებით, იარაღების გაკეთებით; როდესაც იყრის თავს ერთს ადგილას და უჩნდება საერთო საზრუნავი: მოვლა და პატრონობა თემისა და ტომისა—აი სწორედ ამ დროს საჭირო ხდება, რომ ამ გვარ ხალხს ჰქონდეს რამე ნიშნები საერთო საზრუნავ საქმის შესატყობინებლად ერთის კუთხიდგან მეორე

---

[23]) ამ ქვის პირი და თარგმანი წარწერისა მოყვანილია „Зап. Общ. Люб. Кавк. Арх." I წიგნში.

[24]) ქვის პირი მოყვანილია იმავე საზოგადოების წიგნში და ახსნა-კი ბ-ნ ხვოლსონს ჩაურთავს თვის Сбор. Евр. Надпис.-ში, გვ. 130.

[25]) ეს ქვა ინახება ტფილისის მუზეუმში. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ამ ქვის პირზე, რომელიც ჩართულია Зап. Общ. любит. Кавк. Арх. I წიგნში, ცხადად გავარჩიეთ ჩვენი ასოების მგზავსი ნიშნები: უ, Ⴌ, ო.

[26]) ვახუშტიც იხსენიებს ამ გვარ წიგნებს საქართველოს სომხეთის აღწერაში.

[27] ვისკოვატოვი. Какъ люди научились писать, გვ. 17.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბისმარკსა? ისე-კი არ მოუვიდეთ ამათ, რომ „ვაის გავეყარე და ვუის შევეყარეო“.

**

„ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მაშინ გამოჩნდებაო“!

ამ ბოლოს დროს ისე ხშირად ეკიდება ცეცხლი თეატრებს, ისე გახშირდა ეს უბედურება, რომ არ შეიძლება კაცი არ დაუფიქრდეს. მართლაც და გაზეთები დაუფიქრდნენ და შეუდგნენ გზის გამოძებნას, რომ მერმისისათვის ეს უბედურება, თუ შეიძლება, როგორმე თავიდამ აიცილონ საზოგადოებასა. ეს ძალიან კარგი და პატიოსანი. რჩევა და დარიგება, ახალის გზის აღმოჩენა საქებური საქმეა, მაგრამ არც ისე ჭკუის ძალ-დატანება ვარგა, როგორც გაზეთს „Современныя Извѣстія“-ს მოჰსვლია. აი ამ გაზეთს რა საუცხოვო ღონისძიება აღმოუჩენია, რომ ცეცხლის დროს უბედურება არა მოხდეს-რა.

უველაზე უკეთესი, ჩვენის აზრით, ის იქნებაო, — ამბობს გაზეთი, რომ თეატრებში ცალკე ცეცხლის გამქრობი „კომენდანტი“ დაინიშნოს; ამ „კომენდანტს“ უნდა ყოველთვის ჯარის-კაცებიცა ჰყვანდეს ხოლმე თეატრშიო, რომ, თუ ვინიცობაა ცეცხლი გაჩნდა თეატრში, ხალხი არ აირიოს და ერთმანეთი არ გაჭყლიტონ.

როგორ უნდა მოხერხდეს ესა? ასე რომ, როგორც კომენდანტი ბრძანებს, ხალხი იმ რიგად უნდა გამოვიდეს თეატრიდგან, და თუ ამის სიტყვას არ აასრულებენ, მაშინ ჯარები ძალით შეასრულებინებენ კომენდანტის ბრძანებასა.

ეს მაინც ვერაფერი იქნება, ეს მაინც ძალადობა თუ არა, ძალად მაცხონეობა ხომ მაინც იქნება. ისევ სჯობს, თვით ხალხი, რომელიც თეატრში დაიარება, ისე გაიწვრთნას, როგორც ჯარის-კაცნი არიან გაწვრთნილნი, რომ კომენდანტის ერთს სიტყვაზე, სრული წესი და რიგი ჩამოვარდეს ხოლმე და ხალხი რიგზედ, მწყობრად გამოვიდეს თეატრიდგანაო. ეს როგორღა უნდა მოხერხდეს? ამაზე ადვილი რაღა არის.

ძალიან კარგი იქნებაო, — ბრძანებს გაზეთი, რომ წარმოდგენის გათავების შემდეგ, კომენდანტმა თეატრში დამსწრე ხალხი ერთი ხუთჯერ გამოიყვანოს და ისევ უკან დააბრუნოს ხოლმე თეატრშიო, ასე რომ ყველა რიგზედ, დინჯად გამოვიდეს თავის ადგილიდამ და ისევ თავის ადგილას დაბრუნდესო. ამ სახით, ხალხი, როგორც ჯარის-კაცნი, ისე მიეჩვევა წესსა და რიგსა და ცეცხლის დროს ერთს ალიაქოთს და უწესოებას აღარ ასტეხსო, უბედურება-კი ხომ ამისაგან წარმოსდგება ხოლმეო.

ეს ხომ ნამდვილ ცეცხლზე უარესი ცეცხლი იქნება! მაშინ ხომ ყველა ფეხს ამოიკვეთს და თეატრში აღარ შეიხედავს. არა, მართლა და, რა სასიამოვნოა, — ოთხი საათი თეატრში იჯდე და მერე კიდევ დაღალულ-დაქანცული „ცერემონიალ მარშით“ გატარონ! არა, სწორედ დიდის ჭკუის პატრონი უნდა იყვეს ამ „პროექტის“ შემთხზველი!..

## უცხოეთი

ბოლგარია. პოლიტიკაში როგორღაც სიჩუმეა ამ ჟამად. ყველა მიჩუმდა და მიწყნარდა, თითქოს ყველაფერი დამშვიდებული, გარიგებული და გარდაწყვეტილი იყოს და თავის შეტევება არაფრისათვის აღარ იყოს საჭიროვო. აი ამ სიჩუმეში თუ ლაპარაკობენ რასმე რუსეთისა და საზღვარ-გარეთის გაზეთები, ისევ ბოლგარიასა და ბოლგარიის რეგენტებზედ ლაპარაკობენ. ბოლგარიის რეგენტები სცდილობენ როგორმე მთავარი ამოირჩიონ ბოლგარიის სამთავრო ტახტისათვის. ხელ-ახლად დაიწყეს ლაპარაკი პრინც ალექსანდრე ბატტენბერგზედ, რომელსაც მალიანა მომხრეობს თურმე სტეფანე სტამბულოვი, ყველაზედ გავლენიანი და პატივცემული რეგენტი ბოლგარიისა. ბოლგარიის რეგენტები ერთმანერთსა ჰმტრობენ თურმე და ყველა ცდილობს ბატტენბერგის გული მოიგოს, რადგან დარწმუნებულნი არიან: ბატტენბერგი მთავრად იქმნება ამორჩეული და ბოლგარიის ტახტზედ დამკვიდრდებაო. ამაზედ ბატტენბერგთან წასულა დარმშტადტში მაიორი პოპოვი, ნაჩევიჩისა და სტოილოვის გულითადი მეგობარი, რომ ეხლავე შეიპიროს და სთხოვოს ბატტენბერგს: თუ ბოლგარიაში ისევე დაბრუნდე მთავრად, სამხედრო მინისტრის თანამდებობა მე მომეციო. ამავე დროს ეხლანდელს ბოლგარიის სამხედრო მინისტრს პოლკოვნიკს ნიკოლაევს თავისი ამას-წული გაუგზავნია დარმშტადტში ბატტენბერგთან, რომ პოპოვს ხელი შეუშალე როგორმეო. რეგენტებს განზრახვა აქვსთ აგრეთვე, რომ დიდი საერო კრება მოიწვიონ თურმე და თუ მაინც-და-მაინც მთავრად თავიანთი მოწონებული და თვალში ჩასმული ბატტენბერგი ვერ ამოარჩევინეს, თითონ განაგონ ქვეყნის საქმეები ისევე, როგორც აქამდე. ამას წინად გაზ. „Times“-ის ვენელს კორრესპონდენტს ლაპარაკი ჰქონია სტოილოვთან. იმედი გაქვსთ, რომ დიდი საერო კრება ისევე პრინცს ალექსანდრე ბატტენბერგს ამოირჩევს მთავრადაო? ჰკითხავს კორრესპონდენტს. სტოილოვს უპასუხნია, რომ ბოლგარიის ერი უეჭველად ბატტენბერგს ამოირჩევს და იმის გარდა, სხვას არავის ინდომებს მთავრადაო. „ტყუილად ამიზეზებენ დიდნი სახელმწიფონი ბოლგარიის მთავრობას სარეგენტოსას და ჰკიცხავენ, რომ ვითომ ისინი არა ნდომულობდნენ ბოლგარიის საქმის დაბოლოვებასა და ვითომ ისინი იყვნენ მალიან მოწადინებულნი ბატტენბერგის ამორჩევასაო. მთავრობა ბოლგარიისა ბოლგარიისავე ერის სურვილის თანხმად იქცევა და მოქმედობს; ერს ბატტენბერგი უნდა და მთავრობის სურვილიც ეს უნდა იყოსო.“

## სასამართლოს მატიანე

(შემდეგი*)

აგერ ადგა თ. ვასილ თაქთაქიშვილის ვექილი, აღძრა თვისი ტკბილი ენა და მსაჯულებს მოახსენა:

ოპოჩინინი. ბ-ნო მსაჯულებო, მე ჯერ ხანად ვილაპარაკებ იმ თხოვნის გამო, რომელიც ბ-ნ სტეფანოვმა მოგართვათ და რომელიც ორას თუმნამდე თხოულობს. იგი თხოვნა განიყოფება ორ ნაწილად და შესაწყნარებელია მხოლოდ პირველი ნაწილი. რაც დახარჯვია ბექანოვს საექიმოზე, წამლობაზე, ამის უარს ვერავინ ეტყვის; ეს ხარჯი დიდი არ არის, სულ ბევრი-ბევრი სამი თუმანი შესდგეს. სამი თუმანი მიირთვან. რაც შეეხება მეორე ნაწილს თხოვნისას, რომელშიაც აღნუსხულია თვითეულად ხარჯი სამარხისა, ამისი შეწყნარება ყოვლად შეუძლებელია. არსად არ მომხდარა, რომ სამარხის ხარჯი მისცემოდეს ვისმე. შემდეგ ბ-ნ ოპოჩინინმა თვით საქმეზე დაიწყო ლაპარაკი. ბრალმდებელს უნდა, რომ უთუოდ სასტიკად დაისაჯნენ ბრალდებულნი, რადგანაც ამათ ვითომ რაღაც არაუჩვეულობრივო საქმე ჩაიდინესო. საზოგადოებამ გაჰხადა ეს საქმე არაუჩვეულობრივოდ; ტფილისის ს—მ ყველას ყურები გამოუჭედა, რომ გვდევნიანო, არა გვზოგვენო; მორთეს ყვირილი, ჩააგდეს საზოგადოებაში აყალ-მაყალი; ყველანი დააჯერეს, ყველანი დაარწმუნეს, რომ საქმე ერთობ სხვა ნაირი იყო და გამომძიებელმა სხვა-და-სხვა გარემოებათა გამო ჩააფუჩეჩაო. დანიშნეს გამომძიებლად სხვა. უსათუოდ უნდოდათ დაემტკიცებინათ, რომ თაქ—მა წინად-განზრახულს აზრით მოჰკლა ბექანოვიო. შეიპყრეს ბრალდებულნი. ყოველივე ცდა ამაო იყო, რომ თავდებით გამოეშვათ თ. თ—ლი. 30-ს იმავე თთვისას გამოუშვეს. რასაკვირველია, თავისუფლად მყოფი კაცი უფრო სხვა ჩვენებას, მისცემს, ვიდრე ისა, რომელიც დამწყვდეულია, შემდეგ ვექილი შეეხო ესრედ წოდებულს „წურბელაობას“. ბექანოვი იყო მსყიდველი სხვა-და-სხვა ნაჭირნახულევისა მემამულეთაგან; ის, თუ შეიძლება ასე ითქვას, იყო შუამავალი მემამულეთა და მსყიდველთ შორის, ე. ი. ყიდულობდა და ჰყიდდა სხვებზედ. ჩვენი თავად-აზნაურობა ბატონ-ყმობის ნიადაგზე არის აღზდილი; ბატონ-ყმობის ნარჩენზე აღმოცენდა ახალი თაობა, ამიტომ იგი ჯერ შეჩვეული არ არის ისე, როგორც რიგია თვით-მოქმედებას, შრომას; ყველაფერი სხვის ხელით უნდა გააკეთოს. თაქ—ლიც ამის გამო ჰპოულობს კაცსა, რომ მიჰყიდოს ნაჭირნახულევი, თუმცა-კი უმჯობესი იყო, რომ პირ-და-პირ თვით ეყიდნა. მიჰყიდა ბექანოვს ტივები; იმან დაიწუნა, ამის გამო ვითომ პირობა დაირღვა და თაქ—ს დაადო ვალი, რომელიც დღითი-დღე უფრო-და-უფრო მატულობდა და სარგებელი სარგებელს ემატებოდა. საქმე სასამართლომდის მივიდა; თაქ—ლმა წააგო, მაგრამ სენოტს მიართვა საჩივარი; ვიდრე სენოტი გაარჩევდა ამ საქმეს, ბე—ვს აღმსრულებელი ფურცელი მისცეს. თაქთაქიშვილმა მორიგებაზე დაუწყო ლაპარაკი და მიუგზავნა იმისთანა საპატიო კაცი, როგორც თავად-აზნაურთა წინამძღვარია; სამოც-და-ათი თუმანი აძლია, მაგრამ ბე—მა გაგონებითაც არ გაიგონა. შემდეგ ვექილი გადავიდა მკლელობაზე. თაქ—მა არ იცოდა ბექანოვის მოსვლა; ეს არ საიდამ არა სჩანს. ბექანოვს სრულიად შემთხვევით შეხვდა ბ-ნი თ—ი მელქუევის დუქანში; იმისმა უმართებულო ლაპარაკმა გააბრაზა და დაუძახა ბიჭებს: „დაჰკარითო“. ბიჭებმა დაჰკრეს. ბექანოვის სხეული მართლა ნაცემია თავში. მხოლოდ ერთი მძიმე ჭრილობა აქვს, რომლის გამო გარდაიცვალა. თ—ს თავში არ დაურტყავს; როდესაც ბიჭებს უბრძანა, რომ სცემეთო, ამასთანავე დაატანა: დაჰკარით, მაგრამ თავში-კი ნუ დაარტყავთო. ამას ამტკიცებენ მოწმებიცა. მე აქ დავასახელებ და მიუთითებ მსაჯულებსა და ბრალ-მდებელს მხოლოდ იმ მოწმებზე, რომელიც გამომძიებისაგან და ბრალ-მდებელისაგან არიან გამოხმობილნი და ნაკითხნი. მოწმები ყველანი ერთ-ხმივ ამბობენ, რომ თავში არ დაურტყავს თ—საო. თუ თავში დაერტყათ, ერთს დაკვრას არ აკმარებდნენ, ერთს მეორეც მოჰყვებოდა სიბრაზისა და აღელვების დროსა; რაკი ასე არ არის და ერთი ჭრილობა აქვს, ამიტომ მე ვამბობ, რომ ბექანოვმა გადავარდნის დროს გაიტეხა თავი, როცა გამოშვერილს კედელს მიარტყა. მოწმები ამტკიცებენ, რომ ბექანოვი გადავარდა რაც ძალი და ღონე ჰქონდა იქით, საითაც კედელი იყო გამოშვერილიო. მაშასადამე თაქთაქ—ს ჰბრალდება მხოლოდ მძიმედ გალახვა ბ-ნ ბექანოვისა; ამ მძიმედ გალახვის შედეგი იყო სიკვდილი, იყო არა წინად-განზრახულს აზრით, არამედ გაჯავრებისა და აღელვების დროსა და ამიტომ თ—ი უნდა დაისაჯოს სისხლის სამართლის 1664 მუხ. ძალით.

ვექილი გლეხების ტურკევიჩი. მე ზევრი არ მაქვს-რა სალაპარაკო, რადგანაც თა—ს ვექილმა ოპოჩინინმა მშვენივრად გამოარკვია ყოველისფერი; მე ყოვლისფერში თანახმა ვარ ბ-ნ ოპოჩინინისა. მხოლოდ ვიტყვი შემდეგს: თ. ვ. თაქთაქიშვილმა დაარტყა თავში და იმ დარტყმით მოკვდა ბექანოვი თუ არა, ეს ჩემი საქმე არ არის. ჩვენ ვიცით მხოლოდ, რომ

*) იხ. ივერია № 117.

---

კუთხეში; ადებ-მიცემის ადვილად ხაწარმოებლად და სხვ. ამისთანა ნიშნები, სხვათა შორის, არიან ასონი (ანბანი).

ამ გვარ წინადადებათა ხელ-მძღვანელობით თვალი გადავავლოთ საქართველოს ძველს ისტორიას და ვნახოთ ამ ერის შინაური ყოფა-ცხოვრება, კულტურული ზრდა და სხვ. ხელს შეუწყობდნენ თუ არა, რომ ქართველთ მოეგონებინათ ანუ საჭიროდ ეცნათ ანბანის შემოღება და გავრცელება საქართველოში ფარნაოზის უწინარეს დროებში.

საქართველოს ისტორიის უძველესს დროების შესახებ ჩვენ გვაქვს ორგვარი წყარო. შინაური, რომელიც მოთხრობილია ქართლის-ცხოვრებაში და ზოგიერთ სხვა წიგნებში, და გარეშე, ანუ უცხო ქვეყნების მწერალთა გარდმოცემულნი.

ქართლის ცხოვრება ქართველთა დასაწყისზე გარდმოგვცემს შემდეგ ლეგენდას: „ქართველთა, რანთა, მოვაკნელთა, ჩერთა, ლეკთა, მეგრელთა და კავკასიანთა მამა იყო თარგამოს, ძე თარშისა, ძისა აკანანისა, ძისა იაფეთისა, ძისა ნოესა“. თარგამოს სცხოვრებდა მე-XIII ს., ქრისტეს წინად-აქედან მოკიდებული ფარნაოზამდე, ესე იგი მესამე საუკუნემდე ქრისტეს წინად, ჩვენი მატიანე ქართველების ცხოვრებაზე გარდმოგვცემს მცირე ცნობებს. მთელი ეს 14 საუკუნოვანი ხანა ქართველთ ცხოვრებისა მოთავსებულია მატიანეს ათს გვერდზე.

მატიანე გვაუწყებს, რომ ბაბილონის გოდოლის აგების და ენათა შერევნის შემდეგ თარგამოსი თავის შვილებით და ნათესაობით მოვიდა და დაესახლა არარატის მთის არე-მარეზედაო. თარგამოსს ჰყოლია რვა შვილი. უფროსი მათგან დაესახლა სომხეთშიო და ქართლოსი თვისის სხვა ძმებით დაესახლა არეზის მდინარესა და კავკასიონის მთებ-შუა ქვეყანაშიო. ქართლოსმა აღაშენა ქალაქი ქართლიო (მცხეთის ახლოს გორაზედ) და ჰპატრონობდა და უვლიდა მთელს ქვეყანასაო. ქართლოსის სიკვდილის შემდეგ აღაშენეს მრავალნი ქალაქნი, ციხენი და გამოქვაბულნი (უფლისციხე, მცხეთა, ორბისი, სამშვილდე და სხვ.) და თუმცა ყოველის ძმის ნაშენი ცალკ-ცალკე სცხოვრებდა, მაგრამ მაინც ყველანი ემორჩილებოდნენ მცხეთის მამათ-მთავარსა, ანუ მამასახლისსა. ამ დროებში ქართველთ დაავიწყდათ მსახურება ერთ-არსის ღმერთისა და დაიწყეს თაყვანის-ცემა მზისა, მთვარისა, ხუთის ვარსკვლავისა და ქართლოსის საფლავისაო. მატიანე გარდმოგვცემს აგრეთვე ქართველების ბრძოლა-გამარჯვებასა ნებროთის (ეს იყო წინაპარი ასურელთა) ლაშქარის წინაამდეგ, ხაზარეველთ შემოსევასა[28]) და განდევნასა საქართველოდგან; სპარსეთში აფრიდონის გაძლიერებასა და მისგან ქვეყნების დაპყრობასა. ეს აფრიდონი ჰგზავნის საქართველოში ერისთავ არდამს, რომელიც ქვითკირის გალავნით ჰზღუდავს მცხეთას. შემდეგ ქართველნი სდევნიან სპარსელებს და ანთავისუფლებენ სამშობლოს; სპარსთა ჰშთებათ რანი და ჩერეთი. ამ დროებში გურგანის ზღვის იქით მხრიდგან მოვიდნენ საქართველოში თურქნი, სულ 28 სახლობა, და მცხეთის მამასახლისის ნება-დართვით დაესახლნენ მცხეთის ახლოს სარკინეთის მთებზე. შემდეგ შემოვიდნენ ამავე ქვეყანაში ნაბუქოდონოსორისაგან დევნილნი ურიანი და იმავე მამასახლისის ნება-დართვით დაესახლნენ არაგვის პირას, ხერკში.

შემდეგ ამისა სპარსეთში არდაშარი ფრიად გაძლიერდა. მან დაიმორჩილა და მოხარკე ჰყვანა რომაელნი, ბერძენნი, ასურელნი, ბაბილოვანელნი, სომეხნი და ქართველნი. ამ გვარ უბედურებათა და მრავალ უცხო თესლთა შემოსევისა გამო ქართველთ შეეცვალათ რჯულიცა და ენაც. „საქართველოში იზრახებოდა ექვსი ენა: ქართული, სომხური, ხაზარული, ასურული, ებრაული და ბერძნული. ეს ენანი იყვნენ და იცოდნენ ყოველთა ქართველთა: მამათა და დედათა.“

ახლა ქართლის ცხოვრება მოიყვანს ალექსანდრე მაკედონელის ისტორიას. იგი იპყრობს მრავალ ქვეყნებს და საქართველოსაც. აქ მას ძლიერი ქალაქები უხვდება. ექვსი-შვიდის თთვის ბრძოლით იპყრობს საქართველოს და მმართველად ამ ქვეყნისა ამწესებს აზონს. ეს აზონი სასტიკად ეპყრობა ქართველებს, ანგრევს მცხეთის გალავნებს, სდგამს ახალ კერპებს ვერცხლისას გაცსა და გაიმს და ქართველთ ფრიად შეაჭირვებს. აქ გამოჩნდება საქართველოს მხსნელი დიდებული მეფე ფარნაოზი.

ყველა ამ მოყვანილ ცნობათაგან დღეს ჩვენის დედა-აზრის დასამტკიცებლად საჭიროა მხოლოდ ქართველთა დასახლება და დაბინავება თარგამოსისა და ქართლოსის ჟამსა. აგება ქალაქებისა, ციხეებისა და კოშკებისა; უძლიერეს ერებთან შებრძოლება და ხშირად გამარჯვება მათზე; საქართველოში ქართველთა ნება-ყოფლობით შემოსვლა და დასახლება კასპიის ზღვის იქითელთა, ებრაელთა და ხაზართა; მერევნა ქართულის ენისა უცხო ენებთან და წარმოდგომა ახალის ქართულის ენისა.

მ. ჯანაშვილი

(შემდეგი იქნება)

[28]) ხაზარელთა შემოსევა ისტორიული ფაქტია. იგი მოჰხდა მე-VII საუკ. ქრ. წინად.

გლეხებმა სცემეს ბექანოვს თ—ს ბრძანებით და სცემეს სხეულზე, ტანზე. ამას ამტკიცებენ მოწმები; ამასვე ამტკიცებენ ექსპერტები, რომ ტანზე ნაცემი იყო სახრეებითაო. თვით ბექანოვი გლეხებზე არას ამბობს; თ—ლი როცა ეუბნება, დაჰკარითო, მაგრამ თავში ნუო, გლეხებმაც დაუწყეს ტანზე ცემა; თავში რომ დაერტყათ, მაშინ ერთს ალაგას არ ექნებოდა თავი გატეხილი, არამედ რამდენსამე ალაგას. მაშასადამე, ბექანოვმა ერთი მძიმე ჭრილობა მიიღო თავში, გადავარდნით თუ დაკვრით—ეს ჩემი საქმე არ არის; ტანზე-კი გლეხებმა სცემეს. ექსპერტების ჩვენებით, ტანზე ისეთი ნაცემობა აღმოაჩნდა, რომ ბექანოვი იმითი არ მოკვდებოდაო. მაშასადამე, გლეხები უნდა დაისაჯნენ, თუ დასჯა არ ასცდებათ, მხოლოდ იმიტომ, რომ სცემეს ტანზე მსუბუქად. რაიცა შეეხება იმას, რომ ვითომ თ—ი წინად მოელაპარაკა გლეხებსა და პირობა შეჰკრა, მოვკლათ ხვალ ბექანოვიო—ეს ტყუილია. გლეხები არ გაჰყვებოდნენ და თუ მაინცა-და-მაინც მოკვლა უნდოდათ, ცხინვალში სახალხოდ რომ არ მოეკლა თაქთაქიშვილისა, ის არ ემჯობინებოდა, რომ სახლში მიეწვია და იქ მოეკლა. ყველა ამ საბუთების ძალით ტურკევიჩი თხოულობდა დაესაჯნათ სისხლის სამართლის მე-1533 მუხ. ძალით. ტურკევიჩმა ბოლოს ილაპარაკა იმ ფულის შესახებ, რომელსაც თხოულობდა ბ-ნი სტეფანოვი. ძალიან საოცარია, რომ სასაცილო არ იყოს ბ-ნ სტეფანოვისაგან წარმოდგენილი ანგარიში დასაფლავებისაო. საციმო ფული რომ ითხოვოს, კიდევ ჰო, მაგრამ სამარხისა რადაო? რაო, არ უნდა მომკვდარიყო? ეს შავებზე ამდენი და ამდენი დავხარჯეთო და ამ საწყლებს ახდევინებენ. რომ გული აღარ დასწვეიყოთ, თუ გადაჰხდებათ. ტურკევიჩის ლაპარაკმა დიდი სიცილი გამოიწვია დარბაზში; თვით მსაჯულებმაც ვერ შეიკავეს თავი.

31-ს სამს საათზედ გათავდა სხდომა; ხალხი მიიწვიეს $6^1/_2$ საათზედ დარბაზში. ამ დროს მსაჯულებმა წაიკითხეს ის საკითხავები, რომლებშიაც გამონასკვეს ბრალდება დანაშაულთა. შემდეგ გავიდნენ განაჩენის დასადგენად. ბრალმდებელი უკმაყოფილო შეიქმნა, რადგანაც მისის სურვილისამებრ არ დაადგინეს ერთი საკითხავი. ხალხი გაინაბა; ერთნი ნუგეშს სცემდნენ ბრალდებულებს; მეორენი ულვაშს იწმაწნიდნენ: მსაჯულებმა შემდეგი განაჩენი წაიკითხეს: წელიწადითა და ოთხის თვით იქმნეს დაპატიმრებული თ—ლი და ექვს-ექვსით თვით-კი გლეხებიო. სტეფანოვს მიუსაჯეს 49 მ. და 5 კ. ხალხში ტაში გაისმა; მიეხვივნენ ბრალდებულებს და გადაჰკოცნეს. ოპოჩინინსაც მხურვალე გულით მადლობა განუცხადეს.

# დეპეშა

11 ივნისი

ბერლინი. იმპერატორი თან-დათან უკეთ შეიქნა და ახლა დარწმუნებით ამბობენ, რომ მალე ემს წაბძანდებაო.

ლონდონი. საიუბილეო დღესასწაული ჯერ კიდევ არ გათავებულა. გუშინ ჰაიდ-პარკში დედოფლის თანა-დასწრებით დიდი სეირნობა იყო გამართული 30,000 ყმაწვილისათვის.

სოფია. ხმები ისმის, რომ საერო კრება უსათუოდ აირჩევს მთავარსაო.

რისტიჩმა აუწყა ბოლგარიის სარეგენტოს, რომ მე მსურს მეგობრობა ჰსუფევდეს სერბიასა და ბოლგარიის შორისაო.

ვენა. სერბიის მეფე მალე წავა გლეიჰენბერგის მადნის წყლებზე მოსარჩენადაო.

პეტერბურგის ბირჟა, 9-ს ივნისს

ფ ა ს ე ბ ი:

| | მიღებ-ლისა | გამყიდ-ველისა | გაყიდუ-ლისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — › | — › | 9 10 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — › | — › | 177 |
| მანათიანი ვერცხლის ფული, . . . . . . | — › | — › | 1 29 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . . . | — › | — » | $266^1/_4$ |
| — მეორისა . . . . . | — › | — › | $245^1/_2$ |
| გირავნობ. ფურცელნი: | | | |
| ტფილისის ბანკისა. . . | — › | — › | — › |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — › | — › | — › |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . . , . | — › | — › | — › |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპზ (1887) წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ **7395**.
ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1887 წლის ზედ-ნადები—14.

თიბათვე 30 დღით არის

13 დღე შაბათი. ქალწ.-მოწ. აკვინდინასი, ღირს ანნასი. სომეხ. წმ. დიდის ნერსესისა, სომეხთა მამა-მთავრისა. კათოლ. ანტონისა და ლუციანისა. მუსულმანთა. ლეილატუნკადრი. ჭეშმარიტი შუადღე 12—2. ტფილისში მზე ამოდის 4—36, ჩადის 7—38. მთვარე 5 დღისაა.

## გამოსადეგი ცნობანი

**ნიხრი**

1 ივნიისიდამ 1 ივლისამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| წითელი პური 1-ის ხარისხისა . | 3 | › |
| › 2 › | $2^1/_2$ | › |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | › |
| › › 2— | $3^1/_2$ | › |
| › › 3 › | 3 | › |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | |
| 1-ლის ხარისხისა . . | 5 | › |
| მე-2 ხარისხისა . . | 4 | › |
| მე-3 — . . . | › | › |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 7 | › |
| › 2 › | 6 | › |
| სუკი. . . . | 13 | › |
| ცხვრის ხორცი . . . | 8 | › |
| ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა. | › | › |
| › 2 › | › | › |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით საშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, სამზღვარ გარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მისწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემს,

შაბათობით დილის 9 საათზე და მისწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები

კვირაობით, საღამოზე და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავი საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისკენ, ხოლო თუ საჭიროა ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანაოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

## მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

| სტანციები | მოდის საათ. | მოდის წამი. | გადის საათ. | გადის წამი. | სტანციები | მოდის საათ. | მოდის წამი. | გადის საათ. | გადის წამი. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დ ი ლ ი თ | | | | | დ ი ლ ი თ | | | |
| **ტფილისი** . | — | — | 8 | 49 | ბათუმი . . | — | — | 8 | 4 |
| ავჭალა. . . | 9 | 9 | 9 | 11 | ქობულეთი . | 8 | 54 | 8 | 57 |
| მცხეთა. . . | 9 | 32 | 9 | 40 | ნატანები . . | 9 | 25 | 9 | 29 |
| ქსანი . . . | 10 | 3 | 10 | 05 | სუფსა . . . | 9 | 55 | 10 | 2 |
| კასპი. . . | 10 | 33 | 10 | 36 | ლანჩხუთი . | 10 | 35 | 10 | 39 |
| გრაკალი . . | 10 | 59 | 11 | 1 | ნიგოითი . . | 10 | 51 | 10 | 53 |
| **გორი** . . . | 11 | 25 | 11 | 40 | საჯავახო. . | 11 | 14 | 11 | 16 |
| ქარელი . . | 12 | 8 | 12 | 11 | **სამტრედია** . | 11 | 33 | 11 | 51 |
| გომი . . . | 12 | 37 | 12 | 41 | კოპიტნარი . | 12 | 13 | 12 | 16 |
| **ხაშური** . . | 1 | 2 | 1 | 17 | რიონი . . . | 12 | 47 | 1 | 2 |
| სურამი . . | 1 | 29 | 1 | 32 | აჯამეთი . . | 1 | 15 | 1 | 18 |
| ფონი . . . | 2 | — | 2 | 3 | **ყვირილა** . . | 1 | 58 | 2 | 10 |
| **ბეჟათუბანი**. | 2 | 56 | 3 | 16 | ძირულა . . | 2 | 48 | 2 | 50 |
| მარელისი . | 3 | 45 | 3 | 48 | ბელაგორი . | 3 | 17 | 3 | 20 |
| ბელაგორი . | 4 | 15 | 4 | 18 | მარელისი . | 3 | 47 | 3 | 49 |
| ძირულა . . | 4 | 45 | 4 | 48 | **ბეჟათუბანი** | 4 | 18 | 4 | 37 |
| **ყვირილა**. . | 5 | 26 | 5 | 40 | ფონი . . . | 5 | 30 | 5 | 34 |
| აჯამეთი . . | 6 | 14 | 6 | 16 | | ს ა ღ ა მ ო თ ი | | | |
| | ს ა ღ ა მ ო თ ი | | | | სურამი. . . | 6 | 2 | 6 | 5 |
| **რიონი**. . . | 6 | 29 | 6 | 44 | **ხაშური** . . | 6 | 17 | 6 | 32 |
| კოპიტნარი . | 7 | 08 | 7 | 10 | გომი . . | 6 | 50 | 6 | 54 |
| **სამტრედია** . | 7 | 29 | 7 | 49 | ქარელი . . | 7 | 16 | 7 | 19 |
| საჯავახო. . | 8 | 5 | 8 | 7 | **გორი** . . . | 7 | 44 | 7 | 54 |
| ნიგოითი . . | 8 | 27 | 8 | 30 | გრაკალი . . | 8 | 15 | 8 | 17 |
| ლანჩხუთი . | 8 | 42 | 8 | 46 | კასპი. . . . | 8 | 40 | 8 | 43 |
| სუფსა . . . | 9 | 19 | 9 | 27 | ქსანი . . . | 9 | 7 | 9 | 9 |
| ნატანები . . | 9 | 52 | 9 | 55 | მცხეთა. . . | 9 | 28 | 9 | 34 |
| ქობულეთი . | 10 | 22 | 10 | 25 | ავჭალა. . . | 9 | 52 | 9 | 54 |
| **ბათუმი** . . | 11 | 13 | — | — | **ტფილისი** . | 10 | 15 | 10 | 46 |

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 7 წამზედ და საღამოზედ 5 საათსა და 50 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 12 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 55 წამზედ.

ტფილისსა და სურამ შუა

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დ ღ ი ს ი თ | | | | | ღ ა მ ი თ | | | |
| **ტფილისი** . | — | — | 3 | 21 | სურამი. . . | — | — | 2 | 59 |
| ავჭალა . . | 3 | 46 | 3 | 49 | **ხაშური** . . | 3 | 11 | 3 | 27 |
| მცხეთა. . . | 4 | 19 | 4 | 25 | გომი . . . | 3 | 50 | 3 | 55 |
| ქსანი . . . | 4 | 49 | 4 | 52 | ქარელი . . | 4 | 24 | 4 | 31 |
| კასპი . . . | 5 | 24 | 5 | 29 | **გორი** . . . | 5 | 4 | 5 | 19 |
| გრაკალი . . | 6 | — | 6 | 3 | გრაკალი . . | 5 | 46 | 5 | 51 |
| | ს ა ღ ა მ ო თ ი | | | | | დ ი ლ ი თ | | | |
| **გორი** . . . | 6 | 31 | 6 | 45 | კასპი . . . | 6 | 18 | 6 | 24 |
| ქარელი . . | 7 | 18 | 7 | 24 | ქსანი. . . . | 6 | 55 | 6 | 59 |
| გომი . . . | 7 | 53 | 8 | 1 | მცხეთა . . | 7 | 24 | 7 | 32 |
| **ხაშური** . . | 8 | 24 | 8 | 38 | ავჭალა . . | 7 | 55 | 7 | 58 |
| სურამი . . | 8 | 50 | — | — | **ტფილისი** . | 8 | 24 | — | — |


# ჭეშური სიტყვა

თხზ. დ. მაჩხანელისა

დაბეჭდილი „ივერიის“ რედაქციის მიერ, ისყიდება:

ტფილისში—ჩარკვიანის, გრიქუროვის, ხიდდეკელის და ცენტრალურ წიგნის მაღაზიებში.
ქუთაისში—ძმათა ჭილაძეთა მაღაზიაში.
გორში—ს. მგალობლიშვილთან.
სიღნაღში—ძმ. შავერდოვების ჩითის მაღაზიაში.
წიგნი ტფილისში ღირს 20 კაპ., ტფილისს გარეშე—25 კაპ.,



ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| ქილილა და დამანა. ვახტანგ მეფისა . . . . . . . . | 3 | › |
| ვისრამიანი, სარგის თმოგველისა. | 1 | 50 |
| სიბრძნე-სიცრუე, საბა-სულხან ორბელიანისა . . . . . | › | 50 |
| დავითიანი, დავით გურამიშვილისა . . . . . . . . . . | 1 | › |
| თამარ ბატონიშვილი, გრიგოლ რჩეულოვისა . . . . . | 1 | › |
| ნაწერები ალექსანდრე ორბელიანისა . . . . . . . . | › | 50 |
| ნაწერები გრიგოლ ორბელიანისა. | › | 30 |
| თხზულებანი ნ. ბარათაშვილისა. | › | 40 |
| მეჯლანუაშვილი, არდაზიანისა . | › | 30 |
| დედა და შვილი, ილია ჭავჭავაძისა . . . . . . . . | › | 20 |
| რამდენიმე სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდამ, მისივე. . . | › | 10 |
| სურამის ციხე, ჭონქაძისა . . | › | 20 |
| ბატონიშვილის პირველი დრო, ალ. ორბელიანისა. . . . | › | 30 |
| თხზულებანი, რაფაელ ერისთვისა. | 1 | › |
| ნაწერები, ვახტანგ ორბელიანისა. | › | 20 |
| ქართული გამოცანები, რაფაელ ერისთვისა. . . . . . . | › | 5 |
| იგავ-არაკი, რაფაელ ერისთვისა. | › | 25 |
| განკიცხული, მახსუბარიძისა . | › | 50 |
| ციკო, მისივე. . . . . , . | › | 30 |
| პატარა ბიბლიოთეკა, იაკობ გოგებაშვილისა . . . . . | › | 10 |
| მიტრიდატ დიდი, დიმიტრი ბაქრაძისა . . . . . . . | › | 10 |
| ბაგრატ მეოთხე, მისივე. . . | › | 20 |
| მირიან მეფე და წმიდა ნინო, მისივე. . . . . . . . | › | 10 |
| ვახტანგ მეექვსე, მისივე. . . | › | 15 |
| დარიგება მასწავლებელთათვის ი. გოგებაშვილისა. . . . | › | 5 |
| არითმეტიკა, დიდებულიძისა. . | › | 50 |
| არითმეტიკული გამოცანები, ივ. როსტომაშვილისა. . . . | › | 10 |
| წითელი ფარანი, თარგმანი. . | › | 15 |
| ზაფხული. ჯუღელის რედაქციით. | › | 25 |
| ხატაური, ანასტასია თუმანიშვილისა . . . . . . . . | › | 10 |
| ამბები ყრმათათვის, ან. ჯუღელისა | › | 5 |
| არსენას ლექსი . . . . . . | › | 5 |
| ბანჯგვლიანი ფუტკარი, თარგ. მახი. . . . . . . . . | › | 15 |
| ქართული ანდაზები. . . . | › | 10 |
| თვალ-საჩინო სწავლა, მ. ჭიჭინაძისა . . . . . . . . | › | 40 |
| ირაკლი მეორის გლოვა . . | › | 5 |
| ალი. ნ. ლომაურისა. . , . | › | 30 |
| დრო არის საქმეს შეუდგეთ, ქ. მამაცაშვილისა. . . . . | › | 20 |
| ალმანახი, გ. თუმანიშვილისა. . | › | 40 |
| სტეფენსონი, ბარბარე თუმანიშვილისა . . . . . . . | › | 5 |
| მომღვარი, ალ. ყაზბეგისა. . | 1 | › |
| თხულებანი, მისივე ნაწ. I. . | › | 60 |
| რობინზონ კრუზე, ან. თუმანიშვილისა . . . . , | › | 30 |

დაიბეჭდა და ისყიდება ტფილისში: გრ. ჩარკვიანისა და გრიქუროვის წიგნის მაღაზიებში, გორში—თვით ავტორთან და ქუთაისში—ჭილაძის მაღაზიაში

**ორი მოთხრობა**

ს. მგალობლიშვილისა

I მცვრევაზე

II დიდ ზალაში

**ფასი ორი შაური.**